საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აღდგომა

აღდგომა. ლაღამის მაცხოვრის ეკლესიის (სვანეთი) ფრესკა, XIII ს.

აღდგომა, 1. ქრისტიანული რელიგიის თანახმად, იესო ქრისტეს – ღმერთკაცის გაცოცხლება (მკვდრეთით აღდგომა) ჯვარცმისა და სიკვდილის შემდეგ მესამე დღეს, რაც მოასწავებს ცოდვის, სიკვდილის, ბოროტი ძალის ძლევას, ყველა ჭეშმარიტი მორწმუნის გამოხსნას და მათთვის საუკუნო სასუფევლის დამკვიდრებას. **ა**-ის შემდეგ იესო ქრისტეს სხეული სახეცვლილია, ეს არის უკვე ზეციური და უკვდავი სხეული, რ-იც ბუნებრივი, ბიოლოგიური და ფიზიკური კანონების მოქმედებას აღარ ექვემდებარება. ყოველი ქრისტიანისთვის **ა.** არის უეჭველი ისტორიული ფაქტი, ურომლისოდაც იესო ქრისტეს ამქვეყნიურ ცხოვრებასა და ღვაწლს თავისი ჭეშმარიტი აზრი გამოეცლებოდა, ქრისტიანობა, როგორც რელიგია, ვერ იარსებებდა. მცდარია იესო ქრისტეს **ა-**ის დაკავშირება შუამდინარული, ეგვიპტური, წინააზიური, ბერძნული თუ სხვა ქვეყნების მომაკვდავი და აღდგომადი ღვთაებების კულტთან, რასაც ხშირად ვხედავდით ათეისტურ ლიტ-რაში.

2. ქრისტიანთა უდიდესი დღესასწაული, რ-ითაც იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა აღინიშნება. **ა.** მოძრავი დღესასწაულია – გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ სავსე მთვარის მომდევნო კვირა დღეს, გრძელდება მთელ კვირას (ბრწყინვალე შვიდეული) ახალკვირამდე ანუ კვირაცხოვლობამდე. მას წინ უსწრებს დიდი მარხვა, რ-იც მორწმუნეებს **ა**-ის შესახვედრად ამზადებს ხორციელად და სულიერად. **ა**-ის უდიდესი მნიშვნელობის

გამო ძველი აღთქმის შაბათი, რ-იც კვირის დღეთა შორის საუფლოდ, უქმედ იყო დაწესებული, ქრისტიანებმა კვირა დღით შეცვალეს. **ა**-ის აღსანიშნავი დღე დაადგინა ნიკეის საეკლესიო კრებამ (325).

რ. თვარაძე